საქართველოს რესპუბლიკა





კონსტანტინე ბეთანელი

გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი სამთო დარგში, საქართველოს ბუნებრივი რესურსების ღვაწლმოსილი მკვლევარი, კეთილშობილებითა და ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კონსტანტინე ბეთანელი.**

დაიბადა 1932 წლის 24 ნოემბერს ქ.თბილისში, პედაგოგისა და ინჟინრის ოჯახში. 1956 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი და მიენიჭა სამთო ინჟინრის კვალიფიკაცია.

1959-1979 წწ. გაიარა რა დასწრებული ასპირანტურის კურსი, მუშაობდა ქ.მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ა.სკოჩინსკის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტში, ჯერ უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, შემდეგ კი მომავლის საწარმოთა ლაბორატორიის გამგის თანამდებობებზე. ამავე ინსტიტუტში კ.ბეთანელმა მოამზადა და წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ქვანახშირის მრეწველობაში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი მომავლის შახტების პრობლემებზე, რისთვისაც 1975 წელს მას მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად, კ.ბეთანელი 1979 წელს გადმოიყვანეს ქ.თბილისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, რომელიც შეიქმნა საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით და სადაც მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით მუშავდებოდა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა

და მათი რაციონალური გამოყენების პრობლემები ძირითადი მიმართულებების პროგნოზირებასთან ერთად. ეს გახლდათ ფართომასშტაბიანი კვლევითი სამუშაოების კომპლექსი, რომლის შესრულებაში მონაწილეობას ღებულობდა რესპუბლიკის 70-მდე სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და სხვა ორგანიზაცია.

1979-1983 წწ. კ.ბეთანელი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მარგი წიადისეულის საბადოთა დამუშავების კათედრის პროფესორად. 1981 წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. იყო 150-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის, მათ შორის მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორი.

1988 წელს პროფესორი კ.ბეთანელი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; ასევე არჩეული იყო რუსეთის სამთო აკადემიის საპატიო წევრად.

ბატონი კონსტანტინეს ხელმძღვანელობით და ხელშეწყობით ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში მომზადებული და დაცული იქნა რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორ კ.ბეთანელის მოღვაწეობა აღნიშნული იყო მთავრობის ჯილდოებით, მათ შორის – ღირსების ორდენით. მისი მაღალი ერუდიცია და კვლევათა მნიშვნელოვანი შედეგები გამოყენებული იყო ქვეყნის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სხვადასხვა ობიექტზე.

ბატონი კონსტანტინე ბეთანელის ღვაწლს არ დაივიწყებს საქართველოს საინჟინრო-ტექნიკური საზოგადოება და მეცნიერთა დიდი წრე, რომელთაც დააკლდებათ მასთან საქმიანი და ადამიანური ურთიერთობა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება;
საქართველოს ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი.